17/12/2025

MES 6 25 0001798685

**ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 04.12.2025 წ;
სხდომის დაწყების დრო: 10:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 15:25 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:**

**ეკატერინე ლეჟავა** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ ჩიკვილაძე** - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
**ნინო ლაბარტყავა** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**მაკა მაისურაძე** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
**ნინო გიუაშვილი -** სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
**მარინე ბაიდაური -** საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

**თეა ბაქრაძე -** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
**რონა პერტია** - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
**ნათელა ლურსმანაშვილი** - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი;
**ნანა ათუაშვილი** - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**მარი მიქაუტიძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი/სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
**თეა ცერცვაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ნინო დვალიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**სოფიკო მიქაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნინო კაპანაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ცირა თარალაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**თამარ ქევხიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**გოგა პარუნაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:**

**1. ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება:**
ალეკო ფანჩულიძე - გაერთიანების დირექტორი;
სოფიო ჭუმბურიძე - გაერთიანების შიდა მონიტორინგის განყოფილების უფროსი;

ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი:
თეა ზურაბიანი- ოყრეშიძე - ადმინისტრაციის უფროსი;

ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების ტყიბულის N-4 საბავშვო ბაგა-ბაღი:
სოფიკო კუბლაშვილი - ადმინისტრაციის უფროსი.

**2. ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება:**

ნანა მამულაშვილი - გაერთიანების დირექტორი ;

ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სოფელ მოხეს საბავშვო ბაღი:
ნატალია ინასარიძე - საბავშვო ბაღის მენეჯერი;

ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სოფელ ზანავის საბავშვო ბაღი:
დარიკო კოჩალიძე - საბავშვო ბაღის მენეჯერი.

**3. ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი:**
ფიქრია მეშველიანი - გაერთიანების დირექტორი;

ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის სოფელი წინწყაროს საბავშვო ბაღი:
ლელა გაზდელიანი - საბავშვო ბაღის მენეჯერი;

ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის სოფელი სამღერეთის საბავშვო ბაღი:
ქეთი აბულაძე - საბავშვო ბაღის მენეჯერი.

**4. ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება:**
ნინო რობაქიძე - გაერთიანების დირექტორი;

ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ტერეზა გურგენიძე - საბავშვო ბაგა-ბაღის მენეჯერი;

ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი:
ნინელი მშვილდაძე - საბავშვო ბაღის მენეჯერი.

**4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება (ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი):**

მაკა გრძელიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ირინე ქათამაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
თეა კუჭუხიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარიამ გელხვიიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება (ტყიბულის N-4 საბავშვო ბაგა-ბაღი):**

მაკა გრძელიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ირინე ქათამაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

თეა კუჭუხიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარიამ გელხვიიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (სოფელ მოხეს საბავშვო ბაღი):**

მარინა მერაბიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
ირმა ქურდაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მარიამ ექვთიმიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
კახაბერ ბერიძე- სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (სოფელ ზანვის საბავშვო ბაღი):**

მარინა მერაბიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
ირმა ქურდაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მარიამ ექვთიმიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
კახაბერ ბერიძე- სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი (სოფელი წინსწყაროს საბავშვო ბაღი):**

ნინო ასანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავჯდომარე;
ნათია მუნჯიშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნინო მელიქიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
სოფიო გოხელაშვილი - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი (სოფელი სამღერეთის საბავშვო ბაღი):**

ნინო ასანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავჯდომარე;
ნათია მუნჯიშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნინო მელიქიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
სოფიო გოხელაშვილი - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება (ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი**):

სალომე აბდალაძე- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თეა ქემოკლიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მარიამ გორდაძე- კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
რუსუდან ჯანიაშვილი- სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება (სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი):**

სალომე აბდალაძე- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თეა ქემოკლიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მარიამ გორდაძე- კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

რუსუდან ჯანიაშვილი- სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2025 წლის 04 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება - ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი;
2. ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება - ტყიბულის N-4 საბავშვო ბაგა-ბაღი;
3. ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება - სოფელ მოხის საბავშვო ბაღი;
4. ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება - სოფელ ზანავის საბავშვო ბაღი;
5. ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი - სოფელი წინწყაროს საბავშვო ბაღი;
6. ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი - სოფელი სამღერეთის საბავშვო ბაღი;
7. ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება - ქალაქ ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი;
8. ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება - სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

**პირველი საკითხის განხილვა:**

**ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა გრძელიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27 და 28 მაისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 115. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 100 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაკა გრძელიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა დამატებითი განმარტება გაეკეთებინა თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით.
ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ,,კურიკულუმიის განსახორციელებლად მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხაში", განსაზღვრულია მოქმედი კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო მინიმალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის შესაბამისად დგინდება, რომ დაწესებულებას არ აქვს ბავშვთა რაოდენობის შესაბამისი და დეკლარირებული კურიკულუმის ჩარჩოთი გათვალისწინებული საკმარისი საგანმანათლებლო რესურსი. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 1 წლის ვადით. ამასთან, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს აქვს მეორადი მასალისგან დამზადებული ბევრი რესურსი, რომელიც კურიკულუმის განხორციელებას უწყობს ხელს. ექსპერტთა ჯგუფისთვის, დაწესებულების მიერ განსაზღვრული ბავშვთა ზღვრული ოდენობა 115 მისაღები იქნება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქტივობის (კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შეძენა) განხორციელების შემთხვევაში. ამ ეტაპზე ექსპერტების მიერ რეკომენდებული ბავშვთა ზღვრული რაოდენობა არის 100.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არსებული „უფროსი აღმზრდელის" პოზიციის საკითხით, რადგან, აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციას.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არსებული შტატი ითვალისწინებს უფროს აღმზრდელს, შესაბამისად არ აქვთ შტატი აღმზრდელ-პედაგოგისთვის. დამატებით განმარტა, რომ უფროს აღმზრდელებს გავლილი აქვთ ყველა ტრენინგ-კურსი, აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს მიმართა რეკომენდაციით, რომ არსებული პოზიციის დასახელებას მოყვანილ იქნას კანონთან შესაბამისობაში. გაერთიანების დირექტორი დაეთანხმა რეკომენდაციას და განაცხადა, რომ მომავალი წლიდან გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ნინო გიუაშვილმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტანდარტებით გათვალისწინებული ბევრი საკითხი აქვს მოწესრიგებული დაწესებულების სტატუსის მაძიებელს, თუმცა იდენტიფიცირებულია ისეთი შეუსაბამობებიც, რომელთა აღმოფხვრა საჭიროებს მხარდაჭერას მუნიციპალიტეტისგან, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა იდენტიფიცირებულ შეუსაბამობების აღმოფხვრის მხარდაჭერის პროცესში, როგორია მუნიციპალიტეტის მზაობა და არის თუ არა ბიუჯეტში გამოყოფილი შესაბამისი ფინანსები.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დეტალურად იქნა განხილული მერთან და საკრებულოს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრისას და აღნიშნა, რომ ისინი სრულად იზიარებენ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საჭიროებებს, პრიორიტეტი მიანიჭეს სკოლამდელი აღზრდის საკითხს და ბიუჯეტშიც იქნა გათვალისწინებული ფინანსები ყველა იდენტიფიცირებული საჭიროებისთვის.
საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე, დაინტერესდა კვების საკითხით, კერძოდ, კვების დარგში ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციით, გარკვეული პერიოდულობით დაწესებულების

სტატუსის მაძიებელში დამზადებული მზა კერძებისთვის უვნებლობის პარამეტრებზე აკრედიტებულ ლაბორატორიაში კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით.
კვების დარგში ექსპერტმა, თეა კუჭუხიძემ, განმარტა, რომ სატენდერო დოკუმენტაცია იყო წარმოდგენილი. ხარვეზი მიემართებოდა იმას, რომ ნიმუშის აღებისა და შენახვის პროცესი არ ხდებოდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. აღებული ნიმუში შენახვის პერიოდისთის უკვე გაფუჭებული იყო. შესაბამისად, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს რეკომენდაციად განესაზღვრა რომ შესწორება შეეტანათ, როგორც მექანიზმში, ისე პრაქტიკის განხორციელების ნაწილში.
საბჭოს წევრმა, მაკა მაისურაძემ, აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღებთან მიმართებით, ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაცია "კვების უსაფრთხოების კონტროლის მიზნით, გარკვეული პერიოდულობით დაწესებულებაში დამზადებულ მზა კერძებს ჩაუტარდეს ლაბორატორიული კვლევა უვნებლობის პარამეტრებზე აკრედიტებულ ლაბორატორიაში, რათა დაწესებულებამ დაადასტუროს ჰიგიენის კარგი პრაქტიკის სწორი ფუნქციონირება და შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან" სცდება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნას და წა რმოადგენს სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას.
საბჭო წევრმა, თეა ბაქრაძემ, ითხოვა დამატებითი განმარტება დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არსებული სამედიცინო კაბინეტთან, წყლის ავზთან და დალაგების ინვენტართან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა გრძელიშვილმა, სამედიცინო კაბინეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს გააჩნია სტანდარტის შესაბამისად მოწესრიგებული სამედიცინო კაბინეტი.
სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტმა, მარიამ გელხვიიძემ, აღნიშნა, რომ ავზი სრულად შეესაბამება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს სასმელი და სამეურნეო წყლის შესახებ, ასევე მისი მოცულობა სრულად უზრუნველყოფს მინიმუმ ორი დღის მარაგს, ხოლო ავზში წყლის გამოცვლა ყოველდღიურად ხორციელდება და დეზინფექციას ახორციელებს კონტრაქტორი კომპანია. რაც შეეხება დალაგების ინვენტარს, მარკირებულია და განთავსებულია სანიტარულ კვანძებში, სპეციალურად გამოყოფილ კარადებში. საწყობის ღია თაროებთან დაკავშირებით გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 11:11
**დასრულების დრო** - 11:17

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებას (ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 01 ოქტომბრისა.

**მეორე საკითხის განხილვა:**
**ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (ტყიბულის N-4 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები ნინო ლაბარტყავა და თეა ბაქრაძე. მან, ასევე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა გრძელიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების ტყიბულის N-4 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული

განათლების კურიკულუმი " თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაკა გრძელიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც ,,სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, „უფროსი აღმზრდელის“ პოზიციის საკითხთან დაკავშირებით, ტყიბულის N-4 საბავშვო ბაგა-ბაღსაც რეკომენდაციის სახით განუსაზღვრა არსებული პოზიციის დასახელების კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის საკითხით.
ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებაში მოქმედ სანიტარულ კვანძებში (გოგოების და ბიჭების ცალ-ცალკე) 2-2 უნიტაზია განთავსებული. პრივატულობის დაცვის მიზნით, არ არის მოწყობილი სანიტარული კვანძების კაბინები, რაზეც გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეუძლია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადაში.
საბჭოს წევრმა, ნინო ლაბარტყავამ, ითხოვა დამატებითი განმარტება ბავშვის შედეგების მშობლებისთვის გაცნობის საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ მშობლებთან კომუნიკაცია და მათი ჩართვა შეფასების პროცესში, საკომუნიკაციო გეგმის შესაბამისად, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით არის შესაძლებელი, მაგალითად: შეხვედრები და შესაბამისი წერილობითი ფორმა.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ მშობლებისთვის ბავშვის შეფასების გაცნობის საკითხი რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტით, რომლის თანახმად, ოფიციალურად წელიწადში ორჯერ, ინდივიდუალური ფორმით, აღმზრდელის მიერ შედგენილი განრიგის შესაბამისად, ხდება მშობლებთან შეხვედრა. დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შემუშავებული აქვს სპეციალური ფორმა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სფეროს შესაბამის ინდიკატორებს და სწორედ ამ ინდიკატორების მიხედვით ხდება მშობლისთვის შეფასების მიწოდება. მშობლები ხელმოწერით ადასტურებენ შედეგების გაცნობას. ასევე, საკომუნიკაციოდ შექმნილია სოციალური ქსელები, რომელთა დახმარებითაც ხდება ინფორმაციის გაცვლა აღმზრდელსა და მშობლებს შორის.

საბჭოს წევრი, რონა პერტია, დაინტერესდა პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისა და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის სერტიფიცირების საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ჰყავს გაერთიანებას, უშუალოდ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არ ჰყავს აღნიშნული პირი.
გაერთიანების დირექტორმა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის სერტიფიცირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაბამისი ბიუჯეტის იმ დროისთვის არარსებობის გამო, ხარვეზის აღმოფხვრა გადაიდო 2026-2027 წლისთვის, რისთვის განკუთვნილი თანხა ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია და ექსპერტთა რეკომენდაციის შესრულება იგეგმება 2026 წლის დასაწყისისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 11:42
**დასრულების დრო** - 11:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (ტყიბულის N-4 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებას (ტყიბულის N-4 საბავშვო ბაგა-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 01 ოქტომბრისა.

**მესამე საკითხის განხილვა:**
**ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (სოფელ მოხეს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომა საპატიო მიზეზის გამო დატოვა საბჭოს წევრმა, მაკა მაისურაძემ. მან, ასევე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინა მერაბიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სოფელ მოხეს საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 1-ელ და 2 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 60 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მარინა მერაბიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა, მოხეს საბავშვო ბაღი ახლად აშენებული იყო თუ რეაბილიტირებული.

ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორმა ნანა მამულაშვილმა აღნიშნა, რომ მოხეს ბაღი 2019 წელს აშენდა. ასევე, დაამატა ისიც, რომ სოფელში 2019 წლამდე არ ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 12:40
**დასრულების დრო** -12:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (სოფელ მოხეს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას (სოფელ მოხეს საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 30 ოქტომბრისა.

**მეოთხე საკითხის განხილვა:**
**ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (სოფელ ზანავის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ

საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინა მერაბიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სოფელ ზანავის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 3 და 4 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 40. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 40 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მარინა მერაბიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა 2026 წლისთვის, გაერთიანებას უკვე შემუშავებული აქვს თუ არა ფინანსური ხარჯთაღრიცხვა იმ აქტივობებისთვის, რომლებიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.
ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ფინანსური ხარჯთაღრიცხვა უკვე გაკეთებულია და ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 13:15
**დასრულების დრო** -13:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სოფელ ზანავის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას (სოფელ ზანავის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 40-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 30 ოქტომბერისა.

**მეხუთე საკითხის განხილვა:**
**ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის (სოფელი წინწყაროს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომა საპატიო მიზეზის გამო დატოვა საბჭოს წევრმა, თეა ბაქრაძემ, ხოლო სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, მარინე ბაიდაური. დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ასანიძემ. განაცხადა, რომ ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის სოფელ წინწყაროს საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 24 და 25 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" ნაწილი I და ნაწილი II 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. 5-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 135. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 135 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ნინო ასანიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ნინო ლაბარტყავამ, გაერთიანების ხელმძღვანელს მიმართა კითხვით, აღნიშნული ბაღის პერსონალს აქვს თუ არა გავლილი აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული და კურიკულუმის ტრენინგი.
გაერთიანების ხელმძღვანელმა, ფიქრია მეშველიანმა განაცხადა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ყველა აღმზრდელს, აღმზრდელის თანაშემწესა და მენეჯერს გავლილი აქვთ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული და კურიკულუმთან დაკავშირებული ტრენინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 13:45
**დასრულების დრო** - 13:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის (სოფელი წინწყაროს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 135-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრს (სოფელი წინწყაროს საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 135-ით.

საბჭომ ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 2 ოქტომბერისა.

**მეექვსე საკითხის განხილვა:**
**ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის (სოფელი სამღერეთის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ასანიძემ. განაცხადა, რომ ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის სოფელ სამღერეთის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" ნაწილი I და ნაწილი II 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. 5-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 40. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 24 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ნინო ასანიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 14:05
**დასრულების დრო** - 14:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის (სოფელი სამღერეთის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრს (სოფელი სამღერეთის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 24-ით.

საბჭომ ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 2 ოქტომბერისა.

**მეშვიდე საკითხის განხილვა:**
**ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, სალომე აბდალაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22 და 23 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული

განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 25. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 70 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, სალომე აბდალაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა დამატებითი განმარტება გაეკეთებინა თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით, რადგან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ საავტორიზაციო ვიზიტის დროს გამოვლენილი მიგნების თანახმად, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ტექნიკური ხარვეზის გამო აქვს მითითებული 25 და რეალურად ეს რაოდენობა უნდა იყოს - 135. ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებული რაოდენობა არის 70.
ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 70 ბავშვისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, მიმართა გაერთიანების დირექტორს საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ექსპერტთა მიერ რეკომენდებულ ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმება ექსპერტთა მიერ რეკომენდებულ ადგილების ზღვრულ რაოდენობას, რადგან დაწესებულების სტატუსის მაძიებელს აქვს 135 ბავშვისთვის განკუთვნილი როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი. მან ასევე, აღნიშნა, რომ რიგი ხარვეზები უკვე აღმოფხვრილია. მაგალითად, ჭურჭლის რაოდენობა შესაბამისია, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები და მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი დამტკიცებულია, დაინიშნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, დახარვეზებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურები და მიკვლევადობის ჟურნალი მოწესრიგებულია, სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ინვოისები მოძიებულია, ხოლო დანარჩენი ხარვეზები შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადაში იქნება აღმოფხვრილი.
საბჭოს წევრი, ნინო ლაზარტყავა დაინტერესდა პერსონალთა გადამზადების საკითხით, როგორც აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულის, ასევე კურიკულუმის კუთხით.

გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღის შემთხვევაში ჯგუფიდან ერთ და ზოგიერთ შემთხვევაში ორ აღმზრდელს უკვე გავლილი აქვს. როგორც აღმზრდელებს, ისე ადმინისტრაციიის წარმომადგენლებს გავლილი აქვთ კურიკულუმის ტრენინგებიც. გადამზადებულნი არიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მენეჯმენტის საკითხებში მენეჯერი, ჯგუფიდან ერთ საგანმანათლებლო პერსონალს გავლილი აქვს პირველადი დახმარების ტრენინგი და იგეგმება ყველა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება აღნიშნული ტრენინგით.
საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე, დაინტერესდა აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობის საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღში ერთ ჯგუფში არის ორი აღმზრდელი, ორივე არის სრულ განაკვეთზე. მათ ანაცვლებს აღმზრდელის შემცვლელი, რომელიც ოთხი საათით იმყოფება ჯგუფში, რა დროსაც ორი საათით თავისუფლდება თითო აღმზრდელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 14:49
**დასრულების დრო** - 14:58

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 135-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, დააყენა ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებას (ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 135-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 25 სექტემბრისა.

**მერვე საკითხის განხილვა:**
**ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, სალომე აბდალაძემ. მან განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში მითითებული პროგრამების განხორციელების ადგილის სახელწოდება არ ემთხვევა ერთმანეთს, ტექნიკური ხარვეზის გამო და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება არის ,,სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი". მან, ასევე, განაცხადა, რომ ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 24 და 25 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 15.
ექსპერტმა, სალომე აბდალაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა დამატებითი განმარტება გაეკეთებინა თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით, რადგან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ საავტორიზაციო ვიზიტის დროს გამოვლენილი მიგნების თანახმად, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ტექნიკური ხარვეზის გამო აქვს მითითებული 15 და რეალურად, ეს რაოდენობა უნდა იყოს - 30. ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებული რაოდენობა არის 15.
ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის. თუმცა, განმარტა, რომ დადგენილი შეუსაბამობების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადაში შესაბამისად აღმოფხვრის შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმება 30 ბავშვისთვის მომსახურების გაწევის საკითხს.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობის საკითხთან დაკავშირებული ხარვეზით.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღში დაცულია ბავშვისა და აღმზრდელი თანაფარდობა. ჯგუფთან მუშაობს ორი აღმზრდელი და ერთი აღმზრდელის შემცვლელი. ერთ-ერთ აღმზრდელს გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული და ახალი წლიდან იგეგმება, რომ ის გადავიდეს აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე.
საბჭოს წევრი, რონა პერტია, დაინტერესდა შრომითი ხელშეკრულებების საკითხით, მიმდინარე პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომლებთან მიმართებით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ბრძანებითაა პერსონალი დანიშნული, შესაბამისი შტატი არსებობს, შრომის შინაგანაწესით და სამუშაო აღწერილობებით განისაზღვრება ფუნქცია-მოვალეობები, თუმცა სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და მომალი წლიდან იგეგმება ცვლილებების განხორციელება იდენტიფიცირებული შეუსაბამობის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 15:16
**დასრულების დრო** - 15:21

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების (სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, დააყენა ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებას (სოფელ დიმის N2 საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 25 სექტემბრისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 15:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე